ხელშეკრულება №124

ქ. ოზურგეთი 2 აპრილი 2018 წელი

ერთის მხრივ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მერის, კონსტანტინე შარაშენიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, ი.მ. ხათუნა დიდია (შემდგომში - მიმწოდებელი), გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

1.1. ხელშეკრულების საგანია საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის დაღუპულთა მოხსენიების დღეს 9 აპრილს, სოფელ ლიხაურში, ნინო თოიძის საფლავის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალის და საქართველოს ეროვნული გმირის - ზაზა დამენისას საფლავის შესამკობად ყავილების თაიგულებისა და გვირგვინების შესყიდვა:

N	CPV კოდი	დასახელება	განზ	რაოდ	ერთ. ფასი	ჯამი
1	03121210	დასადგამი გვირგვინი 1 მ. სიმაღლის, სადგამით, 20 ცოცხალი ყვავილით და მწვანე დეკორაციული მცენარეებით გაფორმებული	ცალი	2	50	100
2	03121210	დასადგამი გვირგვინი 0,7 მ. სიმაღლის, სადგამით, 15 ცოცხალი ყვავილით და მწვანე დეკორაციული მცენარეებით გაფორმებული	ცალი	4	35	140
სულ ჯამი						240

1.2. CPV კოდი: 44423450 - სახელიანი ფირფიტები.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ვალუტით.

2.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 240 (**ორასორმოცი**) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს მოქმედ სტანდარტებსა და ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2018 წლის 9 აპრილის ჩათვლით.

4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. ოზურგეთი.

4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.

5.2. ***ანგარიშსწორება განხორციელდება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური ღონისძიებების პროგრამიდან თანხის გამოყოფის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2018 წლის 29 მარტის N1748 ბრძანებით გამოყოფილი თანხებიდან.***

5.3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, შესაძლებელია ეტაპობრივი ანაზღაურება, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოწოდების შემდეგ, წარმოდგენილი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

5.4. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

6. ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი (ვადები)

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდგომ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებულ სამუშაოზე გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან მიმართებაში.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

8.6. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების 30 კალენდარული დღით ვადაგადაცილების შემთხვევაში დამრღვევ მხარეს ეკისრება ხელშეკრულების 9.5. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლო და ჯარიმა - ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 %-ის ოდენობით.

8.7. დამრღვევი მხარე ვალდებულია პირგასამტეხლო თანხა გადაიხადოს შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

11.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

12.2. ხელშეკრულების ინსპენქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენელი.

12.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

12.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა; ორი პირი ინახება შემსყიდველთან, ერთი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2018 წლის 1 ივნისამდე.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	*„მიმწოდებელი“*
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	ი.მ. ხათუნა დიდია
იურიდიული მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. N1	მისამართი: ქ. ვ. დოლიძის ქ. N4;
საინდენტიფიკაციო კოდი: 237114635	საიდენტიფიკაციო კოდი: 33001022509
სახელმწიფო ხაზინა	ბანკის დასახელება: სს „თიბისი ბანკი“.
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: TBCBGE22
	ა/ა GE54TB 7649 2450 6110 0043
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი:	*ი.მ. ხათუნა დიდია:*
ვ. შარაშენიძე	*ხ. დიდია*

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ოზურგეთი

2 აპრილი 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს რომ, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ი.მ. ხათუნა დიდიასაგან საქართველოს თავისუფლებისა და ერთიანობისთვის დაღუპულთა მოხსენიების დღეს 9 აპრილს, სოფელ ლიხაურში, ნინო თოიძის საფლავის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წარმოებულ ბრძოლებში დაღუპულთა მემორიალის და საქართველოს ეროვნული გმირის - ზაზა დამენისას საფლავის შესამკობად ყავილების თაიგულებისა და გვირგვინების შესყიდვის პროცედურაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
შესყიდვების განყოფილების უფროსი: /დავით გორდელაძე/

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
სოციალურ და ჯანდაცვის საკითხთა
სამსახურის უფროსი: /თამარ დუმბაძე/